



N 03/787  
01/11/2022

787-03-2-202211011706



<https://edocument.ge/AdjaraGov/public>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს  
დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს  
ბატონ ფრიდონ ფუტყარაძეს

**ბატონო ფრიდონ,**

თქვენი 13.10.2022 წ. №09-02-16/646 კორესპონდენციით დასმულ კითხვაზე, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტებში სარწყავი არხების რეაბილიტაციისა და სარწყავი წყლით მომარაგების მდგომარეობას და ამ მიმართულებით სამინისტროს მიერ დაგეგმილ პროგრამებს, გამოწვევებს და განსახორციელებელ ღონისძიებებს გაცნობებთ, შემდეგს:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2019 წლის მეორე ნახევრიდან შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს რეგიონში სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისად, საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და მუნიციპალიტეტებისგან (გარდა ქობულეთის მუნიციპალიტეტისა. ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული სამელიორაციო სისტემების მართვას შპს „საქართველოს მელიორაცია“ ახორციელებს) სამინისტროს 2019 წელს გადმოეცა 100 ერთეული სამელიორაციო არხი, საერთო სიგრძით - 375,75 კმ. აქედან, დღეის მდგომარეობით რეკონსტრუირებულია და ფუნქციონირებს 34 სამელიორაციო არხი. ნაწილობრივ რეკონსტრუირებულია და საჭიროებს დამატებით სარეკონსტრუქციო სამუშაოებს 27 სარწყავი არხი, ხოლო სრულად სარეკონსტრუქციოა 39 სარწყავი არხი (დანართი №1).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლიდან შემუშავებული აქვს და ახორციელებს პროგრამას „0713 - სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია“. პროგრამა მოიცავს ღონისძიებას - „აჭარის ა/რ ადმინისტრაციულ საზღვრებში სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია“ და ღონისძიებას - „სარწყავი და დამშრობი არხების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება“. პროგრამის ფარგლებში, 2019-2021 წლებში, სარეკონსტრუქციო სამუშაოები განხორციელდა 41 სამელიორაციო არხზე (დანართი №2).

2022 წლის პროგრამის ფარგლებში სამინისტროს მიერ შესყიდულია 2023 წლისათვის დაგეგმილი 15 ერთეული (48,48 კმ.) სამელიორაციო არხის რეკონსტრუქციისათვის საჭირო 10 028 გრძივი მეტრი სარწყავი წყლის მილი, ღირებულებით - 612 888,00 ლარი.

სამინისტრო სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქციას გეგმავს შესაბამისი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებთან ერთობლივად, ეტაპობრივად, პროგრამის ფარგლებში, წლების მიხედვით. ამასთან, სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით (2023 - 2026 წწ) პროგრამის „სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია“ მიზნებისათვის გათვალისწინებული აქვს ყოველწლიურად 1 000 000 ლარი.



რაც შეეხება სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქციისა და მოსახლეობის სარწყავი წყლით მომარაგების უზრუნველყოფის კუთხით გამოწვევებს აღვნიშნავთ, რომ სამელიორაციო სისტემები ძირითადად განლაგებულია გეოგრაფიულად მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში, რთულ რელიეფურ ტერიტორიებზე, რომლებიც ასევე ხასიათდება მკაცრი ბუნებრივ - კლიმატური პირობებით და მეწყრული პროცესებით, რომელიც ძირითადად ვითარდება ზამთრისა და ადრე გაზაფხულის პერიოდში.

მნიშვნელოვან ხელშემშლელ ფაქტორს, ასევე წარმოადგენს სამელიორაციო სისტემების მოვლა-შენახვის ღონისძიებები, რაც მოიცავს სარწყავი სისტემების სათავე ნაგებობებისა და არხის კალაპოტის პერიოდულ გაწმენდას, არხში წყლის მიწოდებისა და მოსარგებლებზე განაწილების პროცესების მართვას, არხის პროფილის დაცვასა და აღდგენას, როგორც ბუნებრივი დაზიანების, ასევე მოსახლეობის მიერ ექსპლუატაციის პროცესში ხელოვნური დაზიანების შემთხვევაში. სამინისტრო, შესაბამის ადგილობრივ თვითმმართველობებთან ერთობლივად, განიხილავს საკითხს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული სამელიორაციო სისტემების ეფექტური მართვის სისტემის დანერგვის მიზნით.

**დანართი № 1** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბალანსზე არსებული სამელიორაციო სისტემები - 6 (ექვსი) ფურცელი.

**დანართი № 2** - ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამის ფარგლებში 2019-2021 წ.წ რეკონსტრუირებული ობიექტების შესახებ- 2 (ორი) ფურცელი.

**პატივისცემით,**

ზაზა შავაძე

მინისტრი

